პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2024 წლის ----- თებერვალი, ქალაქი ბათუმი

**„კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის №გ-15. 15232724 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 06 დეკემბერს N1423340534-06 განცხადებით მიმართა შპს ,,დრიმ ლაინმა'' (ს/N448416287) და მოითხოვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის №გ-15. 15232724 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება. ტექნიკური შეცდომის არსი მდგომარეობს შემდეგში, განმცხადებლის მიერ არასწორად იქნა მითითებული საპროექტო ტერიტორიის ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდის შემადგენელი ერთი ციფრი), რამაც გამოიწვია ცდომილება გაცემულ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში (განკარგულებაში); საკადასტრო კოდის 05.32.08.237 ნაცვლად უნდა იყოს 05.32.28.237; შესაბამისად; მიწის საერთო ფართის 10136.0 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 10135.0 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. დაკმაყოფილდეს შპს ,,დრიმ ლაინის'' (ს/NN448416287) 2023 წლის 06 დეკემბრის N:1423340534-06 განცხადება, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ,,კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის №გ-15. 15232724 განკარგულებაში და განკარგულების მთელ ტექსტში საკადასტრო კოდის 05.32.08.237 ნაცვლად მიეთითოს საკადასტრო კოდი N05.32.28.237; ხოლო მიწის საერთო ფართის 10136.0 კვ.მ ნაცვლად მიეთითოს 10135.0 კვ.მ.
2. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ,,კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის №გ-15. 15232724 განკარგულების შემადგენელ ნაწილს.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

**,, კანონით განსაზღვრული დროებით ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის Nგ-15. 15232724 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ განკარგულების პროექტი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;**

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

განკარგულების პროექტის მიღების მიზანია ,, კანონით განსაზღვრული დროებით ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის Nგ-15. 15232724 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 06 დეკემბერს N:1423340534-06 განცხადებით მიმართა შპს ,,დრიმ ლაინმა'' (ს/N448416287) და მოითხოვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის Nგ-15. 15232724 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება. ტექნიკური შეცდომის არსი მდგომარეობს შემდეგში, განმცხადებლის მიერ არასწორად იქნა მითითებული საპროექტო ტერიტორიის ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდის შემადგენელი ერთი ციფრი), რამაც გამოიწვია ცდომილება გაცემულ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში (განკარგულებაში); საკადასტრო კოდის 05.32.08.237 ნაცვლად უნდა იყოს 05.32.28.237; შესაბამისად; მიწის საერთო ფართის 10136.0 კვ.მ ნაცვლად უნდა იყოს 10135.0 კვ.მ.

**.ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:**

,, კანონით განსაზღვრული დროებით ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის Nგ-15. 15232724 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე-არ გამოიწვევს .

**პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

პროექტის მომზადების პროცესში არ მიღებული კონსულტაციები;

**პროექტის ავტორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

**პროექტის ინიციატორი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**

**ქალაქგანვითარებისა და ურბანული**

**პოლიტიკის სამსახურის უფროსი**

**გიორგი წანაწყენიშვილი**